დამტკიცებულია ონის მუნიციპალიტეტის
მერის 2022 წლის 26 იანვრის N 878/78220261 ბრძანებით
სერგო ბიდეშელი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,ონის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური“

წესდება

მუხლი 1.

ზოგადი დებულებანი

1. საზოგადოების საფირმო სახელწოდებაა: შპს ,ონის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და
2. კეთილმოწყობის სამსახური“ (შემდგომში საზოგადოება).
3. შპს „ონის სერვის ჯგუფი“ (შემდგომში საზოგადოება) წარმოადგენს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილ იურიდიულ პირს.
4. საზოგადოების იურიდიული მისამართია ქ. ონი, ვახტანგ VI III შესახვევი N2.
5. საზოგადოების ელ. ფოსტის მისამართია: samsaxuriketilmowyobis@yahoo.com
6. საზოგადება დადგენილი წესით სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან იძენს იურიდიული პირის სტატუსს, უფლებამოსილებას ეწეოდეს ამ წესდებით განსაზღვრულ და მოქმედი კანონმდებლობით ნებადართულ საქმიანობას.
7. საზოგადოებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებაში, ბეჭედი და სხვა იურიდიული პირის რეკვიზიტები.
8. საზოგადოება საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად ფლობს და სარგებლობს მის ბალანსზე რიცხული ქონებით და განკარგავს მას დამფუძნებლებთან შეთანხმებით. იგი უფლებამოსილია შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და შესაბამისი ვალდებულებები. იყოს მოსარჩელე/მოპასუხე სასამართლოში, საკუთარი სახელით დადოს ხელშეკრულებები გარდა ქონების გასხვისებასთან, სარგებლობის უფლების გადაცემასთან, საკრედიტო ვალდებულებების ან მიზნობრივი სესხების აღებასთან და სხვა ისეთი ქმედებებთან დაკავშირებით, რომელიც საჭიროებს მერის თანხმობას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრული წესით.
9. საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით.

მუხლი 2.

საზოგადოების საქმიანობის საგანი

1. საზოგადოება ახორციელებს საქმიანობას შემდეგი მიმართულებით:

ა) გარე განათების საშუალებების მოწყობის, აღდგენითი და მოვლა-პატრონობის ღონისძიებების ორგანიზება.

ბ) გამწვანების ღონისძიებების განხორციელება, სკვერებისა და პარკების მოწყობა, დაზიანებული ხეების მოჭრა და კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება.

გ) დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის ორგანიზება.

დ) ნარჩენების შეგროვება და განთავსების ადგილზე ტრანსპორტირების ორგანიზება.

ონის მუნიციპალიტეტის მერი სერგო ბიდეშელი

2. საზოგადოებას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საზოგადოებისა და პარტნიორის ინტერესებს, მიუხედავად იმისა არის თუ არა საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

მუხლი 3.
ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

1. საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრება დირექტორს, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ონის მუნიციპალიტეტის მერი.
2. დირექტორი ანგარიშვალდებულია პარტნიორის წინაშე;
3. დირექტორის თანამდებობრივ სარგოს(ხელფას) განსაზღვრავს მერი.
4. დირექტორი:
   ა)ერთპიროვნულად ახორციელებს საზოგადოების მართვას დამფუძნებლის მიერ განსაზღვრული წესით, პირადად აგებს პასუხს მის სამეურნეო შედეგებზე.
   ბ) დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ხსნის ანგარიშს ბანკში.
   გ) ნიშნავს და ათავისუფლებს ორგანიზაციის თანამშრომლებს, საზღვრავს მათი მუშაობისა და შრომის ანაზღაურების წესებს და პირობებს. ანაწილებს ფუნქციებს, ამტკიცებს თანამდებობრივ ინსტრუქციებს.
   დ) იღებს გადაწყვეტილებას თანამშრომლების წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.
   ე) ამტკიცებს საზოგადოების საშტატო რიცხოვნებას და სახელფასო ფონდს.
   ვ) გამოსცემს ბრძანებებს.
   ზ) წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს კანონმდებლობით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა.
5. მმართველობის მიმდინარე საქმეების შესრულება ეკისრება დირექტორს საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ. სხვა შემთხვევაში საჭიროა დამფუძნებლის თანხმობა, მათ მიეკუთვნება შემდეგი საკითხები.
   ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა.
   ბ) წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა.
   გ) სხვა საქმეები, რომელიც ცილდება ჩვეულებრივ საწარმოს საქმიანობას და უტოლდებიან ზემოთ ჩამოთვლილ საქმეებს.
6. დირექტორის პასუხისმგებლობა განისაზღვრება წინამდებარე წესდებით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4.
საზოგადოების ქონება

1. საზოგადოების შემოსავლის წყარო შეიძლება იყოს:
   ა) დამფუძნებლის მიერ მის გამგებლობაში გადაცემული ქონება.
   ბ) საკუთარი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი.
   გ) მოზიდული სახსრები.
   დ) ბანკი ან სხვა კრედიტები.

ონის მუნიციპალიტეტის მერი სერგო ხიდეშელი

2. საზოგადოების ძირითადი საშუალებების გასხვისება, გარდა ქონების ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად გასხვისებისა და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 104-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით და 118 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეძენილი/მიღებული ქონებისა, ხდება საჯარო ან ელექტრონული ფორმით.
3. საზოგადოების ძირითადი საშუალებების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. ძირითადი საშუალებების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობით ან უპირობოდ.
4. საზოგადოების ქონების უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არაუმეტეს 2 წლის ვადით, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
5. საზოგადოების ძირითადი საშუალებების გასხვისების ან სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას , როგორც საზოგადოების დამფუძნებელი იღებს ონის მუნიციპალიტეტის მერი.
6. წმინდა მოგების განაწილების საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლის 5.

საზოგადოების წლიური შედეგები

1. წლიური შედეგები აისახება საწარმოს ბალანსში და საბუღალტრო ანგარიშში, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება დამფუძნებელს საფინანსო პერიოდის შედეგების მიხედვით.
2. ბიუჯეტისა და ბანკებთან ანგარიშსწორების შემდეგ დარჩენილი მოგება წარიმართება საწარმოს ფონდების შესავსებად. მოგების განაწილების კონკრეტულ წესს განსაზღვრავს დამფუძნებელი.

მუხლი 6.

საზოგადოების კონტროლი

1. საზოგადოების პარტნიორია ონის მუნიციპალიტეტი, რომელიც საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელია და ერთპიროვნულად ახორციელებს დამფუძნებლის ფუნქციას.
2. საჭიროების შემთხვევაში საწარმოს საქმიანობის კონტროლს ახორციელებს დამფუძნებელი შიდა აუდის სამსახურის საშუალებით.

მუხლი 7.

პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა

1. საზოგადოება თავის ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით.
2. დავა საზოგადოებასა და საზოგადოების მუშაკებს შორის წყდება საქართველოს შრომისა და სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე.

ონის მუნიციპალიტეტის მერი ს. ბიდებელი

3. საზოგადოების დირექტორისა და თანამშრომლების პასუხისმგებლობა განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის და სამოქალაქო კანონმდებლობის მოქმედი ნორმების საფუძველზე.

მუხლი 8.

წესდებაში ცვლილების შეტანის, რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის წესი

1. საზოგადოების წესდებაში ცვლილების შეტანა ხდება ონის მუნიციპალიტეტის მერის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. საზოგადოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება დამფუძნებლის გადაწყვეტილებით კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9.

დასკვნითი დებულებები

1. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნება ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.
2. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობა.

ონის მუნიციპალიტეტის მერი სვეტლანა ხიდეშელი